DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.05

მურჯახეთის სტელა: ნაყოფიერების წინაქრისტიანული კულტი და ფუნქციონალურ-სემანტიკური ტრანსფორმაციები ჯავახეთის ეთნოკულტურულ სივრცეში

MURJAKHETI STELA: PRE-CHRISTIAN FERTILITY CULT AND FUNCTIONAL-SEMANTIC TRANSFORMATIONS IN THE ETHNOCULTURAL SPACE OF JAVAKHETI

TSIRA MESKHISHVILI
Samtshkhe-Javakheti State University, associate professor;
ORCID:0009-0000-9175-3718
tsirameskhishvili@gmail.com
+995 599 513622, +995 551 294050

Abstract. This paper provides a comprehensive ethnographic and semantic analysis of the pre-Christian monolithic stela located in the village of Murjakheti, Akhalkalaki municipality, within the Samtskhe-Javakheti region. The study aims to conceptualize the monument's semantic essence, decode the cosmogonic symbolism of its relief carvings, and reconstruct the magical-ritual practices associated with it. Utilizing an interdisciplinary approach, the research synthesizes primary field ethnographic data collected by the author, archival documents, and historical-comparative analysis. The paper evaluates the two prevailing academic hypotheses regarding the monument—classifying it either as a megalithic "veshapoid" (dragon-stone) or as a relic of a phallic cult—and argues for their potential syncretic integration over time. Particular emphasis is placed on the structural analysis of ritual cycles performed for curing infertility and lactation issues, which heavily feature elements of sympathetic magic and chthonic cults. The findings demonstrate that the Murjakheti stela, functioning as a vital regional sacred center, underwent a multi-layered functional-semantic transformation. The ancient pre-Christian semantics organically merged with later Christian folk narratives and, from the 19th century onwards, successfully integrated into the socio-religious reality of the newly migrated Armenian population.

Keywords: *Murjakheti stela, Javakheti, megalithic culture, fertility magic, phallic cult, ethnocultural transformation, field ethnography.*

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ცირა მესხიშვილი
სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ORCID:0009-0000-9175-3718
tsirameskhishvili@gmail.com
+995 599 513622, +995 551 294050

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში კომპლექსურადაა შესწავლილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კერძოდ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მურჯახეთში მდებარე წინაქრისტიანული ხანის მონოლითური სტელა. ნაშრომის მიზანია ძეგლის სემანტიკური არსის რეცეფცია, მასზე არსებული რელიეფური სიმბოლიკის კოსმოგონიური ანალიზი და მასთან დაკავშირებული მაგიურ-რიტუალური პრაქტიკის ეთნოგრაფიული რეკონსტრუქცია. კვლევა ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ავტორის მიერ მოპოვებულ საველე-ეთნოგრაფიულ მასალებს, საარქივო დოკუმენტებსა და ისტორიულ-შედარებით ანალიზს. ნაშრომში განხილულია სამეცნიერო დისკურსში არსებული ორი ძირითადი თეორია (მეგალითური ვეშაპოიდებისა და ფალიკური კულტის შესახებ) და ნაჩვენებია მათი შესაძლო სინკრეტული ბუნება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლაქტაციისა და უშვილობის მკურნალობის მიზნით შესრულებულ სარიტუალო ციკლებს, სადაც გამოკვეთილია სიმპათიკური მაგიისა და ქთონური კულტების ელემენტები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ მურჯახეთის სტელამ, როგორც რეგიონულმა საკრალურმა ცენტრმა, განიცადა მრავალშრიანი ფუნქციონალურ-სემანტიკური ტრანსფორმაცია — იგი ორგანულად შეერწყა გვიანდელ ქრისტიანულ ფოლკლორულ ნარატივებს, ხოლო XIX საუკუნიდან წარმატებით მოახდინა მიგრირებული სომხური მოსახლეობის რელიგიურ-საყოფაცხოვრებო რეალობაში ინტეგრირება.

საკვანძო სიტყვები: *მურჯახეთის სტელა, ჯავახეთი, მეგალითური კულტურა, ნაყოფიერების მაგია, ფალიკური კულტი, ეთნოკულტურული ტრანსფორმაცია, საველე ეთნოგრაფია.*

შესავალი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი გამოირჩევა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებით, სადაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წინაქრისტიანული ხანის მეგალითურ კულტურას. წინამდებარე კვლევის ობიექტს წარმოადგენს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მურჯახეთის სასაფლაოზე, ისტორიული ეკლესიის დასავლეთით მდებარე მონოლითური სტელა (სიმაღლე: 3.20 მ, სისქე: 70 სმ), აგრეთვე მისი იდენტური, სოფლის ბოლოში წაქცეული მეორე სვეტი (სიმაღლე: 2.60 მ), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ფოლკლორულ კონტექსტში "ლალიას" (მუნჯის/ბლუს) ძმას უწოდებს.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

აღნიშნული ძეგლები, სოფელ განძის სვეტთან ერთად, მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეებში მოექცა. მათ შესწავლასა და კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ე. თაყაიშვილს, ნ. მარს, ნ. ბერძენიშვილს, ი. როსტომაშვილს, ლ. მელიქსეთ-ბეგს, ს. მაკალათიას და სხვებს. თუმცა, მიუხედავად არსებული ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერილობებისა, ნაკლებადაა შესწავლილი ამ ძეგლებთან დაკავშირებული რიტუალური პრაქტიკა, როგორც ერთიანი სოციო-კულტურული და რელიგიურ-მაგიური სისტემის ნაწილი. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საერთაშორისო არქეოლოგიურ დისკურსში სამხრეთ კავკასიის მონუმენტური სტელები სულ უფრო ხშირად განიხილება ფართო ინტერდისციპლინურ ჭრილში, სადაც წამყვანია „ლანდშაფტის არქეოლოგიის“ (Landscape Archaeology) მეთოდოლოგია (Gilibert, Bobokhyan, and Avetisyan 2012). მიუხედავად იმისა, რომ უახლესი დასავლური მონოგრაფიები ამ ძეგლებს ძირითადად მაღალმთიანი რეგიონების საკულტო-საირიგაციო და ეკონომიკურ ქსელებს უკავშირებენ (Bobokhyan, Gilibert, and Avetisyan 2019, 44, 129), მათ მიღმა ხშირად რჩება ცალკეული მონუმენტების მიკრო-სოციალური და ყოფით-ეთნოგრაფიული რეალობა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ სივრცის შევსებას ისახავს მიზნად ერთ ერთი მეგალითური ძეგლის, მურჯახეთის სტელას მაგალითზე.

კვლევის მიზანი

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს მურჯახეთის სტელის სემანტიკური არსის რეცეფცია და მასთან დაკავშირებული მაგიურ-რიტუალური პრაქტიკის კომპლექსური ეთნოგრაფიული ანალიზი. ნაშრომი მიზნად ისახავს:

- დაადგინოს სტელაზე არსებული რელიეფური გამოსახულებების სიმბოლური კავშირი ტოტემისტურ და ფალიკურ(ფალოსის) კულტებთან.
- აღადგინოს და სტრუქტურულად გააანალიზოს ურძეობისა და უშვილობის განკურნების მიზნით შესრულებული მაგიური რიტუალების სრული ციკლი.
- შეისწავლოს კულტის ტრანსფორმაციის პროცესი და მისი ადაპტაცია გვიანდელ ქრისტიანულ და რეგიონში მიგრირებულ ეთნიკურ ჯგუფთა (სომხური მოსახლეობის) ცნობიერებაში.

2. მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ინტერდისციპლინურ კვლევით მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეთნოლოგიურ, ისტორიულ-შედარებით და სემანტიკურ ანალიზს:

1. **საველე-ეთნოგრაფიული მეთოდი:** კვლევის ძირითად წყაროს წარმოადგენს ავტორის მიერ ჯავახეთის რეგიონში მოპოვებული საველე-ეთნოგრაფიული მასალები (პირდაპირი ინტერვიუები, ზეპირი ისტორიები და მთხრობელთა გადმოცემები).
2. **ისტორიულ-შედარებითი ანალიზი:** მოპოვებული საველე მონაცემები შეჯერებულია XIX-XX საუკუნეების საარქივო დოკუმენტებთან და ქართული

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ეთნოლოგიური სკოლის (ივ. ჯავახიშვილი, ვ. ბარდაველიძე, ჯ. რუხაძე) თეორიულ ნაშრომებთან.

3. **სტრუქტურულ-სემანტიკური მეთოდი:** ძეგლის არქიტექტონიკა და მასზე არსებული სიმბოლიკა გაანალიზებულია კოსმოგონიური მოდელების (ვერტიკალური სამყაროს სტრუქტურა) ჭრილში.

შედეგები და მსჯელობა

სემანტიკური დისკურსი: მეგალითი, ვეშაპოიდი თუ ფალოსის კულტი?

სამეცნიერო ლიტერატურაში მურჯახეთის სტელის ფუნქციურ დანიშნულებაზე ორი ძირითადი ჰიპოთეზა არსებობს. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ნ. მარისა და ი. მეშჩანინოვის აზრითა ძეგლს მიაკუთვნებს მეგალითური კულტურის მეორე ჯგუფს — კერძოდ, "ვეშაპოიდებს". მეორე მხრივ, ე. თაყაიშვილი, ი. როსტომაშვილი, ს. მაკალათია და ნ. ბერძენიშვილი სტელას ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მომცემი ემბლემის — ფალოსის კულტის გადმონაშთად. ლ.მელიქსეთ-ბეგი თავის ნაშრომში - „მეგალითური კულტურა ჯავახეთში“, ამ არეალში გავრცელებული მეგალითების სრულ ფუნქციონალურ-სემანტურ კლასიფიკაციას გვაძლევს და ორ დიდ ჯგუფად აერთიანებს: პირველ ჯგუფში პოლილითურ, ანუ საბინაო და საყოფაცხოვრებო ნაგებობებს (ციხე-კოშკები, ზღუდეები, ბლინდაჟები), მეორე ჯგუფში კი კულტურის ობიექტებს-მენჰირები, ვიშაპ-ვეშაპოიდები, ქალქვა-ქვაკაცები, დიოლით ტეტრალითები, ქვახვრელ ერატიპები და ა.შ. მურჯახეთის სვეტს მელიქსეთ-ბეგი ამ ჩამონათვალიდან ვეშაპოიდების რიცხვს მიაკუთვნებს (მელიქსეთ ბეგი 1938, 7). იგივე აზრს იზიარებს ნიკო მარიც. იგი წერდა: „Значителбно севернее от села Мурджахети, близ Ахалкалаки имеются стелы обикнавенно встречаюшиеся с Вишапами -Рыбамиб великанами” (Нико Мар 1931,16), იგივეს ადასტურებენ ილია მეშჩანინოვი და ი. სმირნოვი (Мещанинов 1925 401-402).

მეორე მხრივ, ე. თაყაიშვილი, ი. როსტომაშვილი, ს. მაკალათია და ნ. ბერძენიშვილი სტელას ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მომცემი ემბლემის — ფალოსის კულტის გადმონაშთად მიიჩნევს და მურჯახეთის და განძის სტელების მაგალითზე ამიერკავკასიაში ფალოსის კულტის არსებობას უკავშირებს. „ამიერკავკასიაში, აღნიშნავდა მაკალათია, ძველთაგანვეა არსებული ფალოსის კულტი და არც მურჯახეთის სტელის სემანტიკა შეიძლება იყოს გამორიცხული ამ თვალსაზრისით(მაკალათია 1926,46). ივ. როსტომაშვილის აზრით: სულ სხვა დროს და სხვა კულტს ეკუთვნის სტელები მურჯახეთისა და განძისა, ეს ორი სვეტი ეკუთვნის იმ უხსოვარ დროებას, როდესაც ადამიანები თაყვანს სცემდნენ სიცოცხლის მომცემ ემბლემას, ნაყოფიერების დასაბამს“ (როსტომაშვილი 1901, 12) მაკალათია და ბერძენიშვილი მურჯახეთისა და განძის სტელების ფალიკურ სემანტიკას უკავშირებენ, აგრეთვე „როგორც წარმართულ ხანაში არსებული ნაყოფიერების ღვთაების კერპს“ (მაკალათია, 1926, 58), (ბერძენიშვილი 1964, 126-127) და შესაბამისი არგუმენტებითაც ასაბუთებენ. მაშასადამე, მურჯახეთის და განძის სტელების წარმომავლობასა და სემანტიკაზე მკვლევართა საყოველთაოდ გავრცელებული ორი შეხედულება

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

იკვეთება: ა. ეს სვეტები ვეშაპოიდებია და მეგალითური კულტურის ძეგლთა მხოლოდ ამ ჯგუფს განეკუთვნება; ბ. სტელები ფალოსის კულტის გადმონაშთებია. მკვლევარი მელიქსეთ-ბეგი კი გვთავაზობს საგულისხმო შუალედურ თეორიასაც, რომლის მიხედვითაც თავდაპირველი მეგალითი(ვეშაპოიდი) მოგვიანებით შესაძლოა მეორეული სემანტიკით — ფალიკური კულტითაც აღჭურვილიყო. ეს თვალსაზრისი სრულად რეზონირებს კავკასიის სტელების თანამედროვე კვლევებთან, სადაც ხაზგასმულია მონუმენტთა მრავალშრიანი ბუნება, მათი ფუნქციური ევოლუცია და ე.წ. „სოციალური მეხსიერების“ როლი ძეგლის ხელახალი ინტერპრეტაციის პროცესში (Bobokhyan, Gilibert, and Avetisyan 2019, 125–126). ბრინჯაოს ხანის პირველადი საკულტო მოდელი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ტრანსფორმაციას და იძენდა ახალ, მათ შორის ნაყოფიერების პროკრეაციულ მნიშვნელობებს. აღნიშნული თვალსაზრისი თავსებადია სტელაზე არსებული გამოსახულებების სამსაფეხურიან მოდელთან:

- **ზედა საფეხური (ზეცა):** ფრინველების (ყარყატების) გამოსახულება;
- **საშუალო საფეხური (მიწა/კაცთა სამყარო):** ძაღლის თავის გამოსახულება;
- **ქვედა საფეხური (ქვესკნელი):** ორთავა გველი.

სურგულაძის თეორიის მიხედვით, ვერტიკალურ სვეტზე კოსმოგონიური მოდელის (ზეცა-ცა-ქვეცა) ამგვარი რეპრეზენტაცია ტრადიციული ქართული მსოფლმხედველობის ორგანული ნაწილია (სურგულაძე,1998, 57).

რიტუალური პრაქტიკა და ნაყოფიერების მაგია

საველე მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ მურჯახეთის სტელა ("ძიქვა" ან "რძის ქვა") ფუნქციონირებდა როგორც ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ლაქტაციის რეგულირების საკრალური ცენტრი. რიტუალები იყოფოდა ორ ძირითად კატეგორიად:

1. **ლაქტაციის (რძის მოყვანის) რიტუალი:** ურძეო ქალები, აუცილებლად მამრობითი სქესის ნათესავის (ძმის ან ბიძაშვილის) თანხლებით, ხუთშაბათს ან კვირას (მაჰმადიანი ქალები — პარასკევს) მიდიოდნენ სტელასთან. რიტუალი მოიცავდა "შავი საღმრთოს" (უპირატესად შავი ქათმის) შეწირვას. საკლავის თავ-ფეხის მიწაში ჩაფვლა დედამიწის (ქთონურ) კულტთან კავშირზე მიანიშნებს. სტელის "ძუძუებზე" ერბოს ან კარაქის ჯვრისებულად სამგზის წაცხება და ბავშვისთვის პირში მოსმა ტიპური სიმპათიკური მაგიის გამოვლინებაა.
2. **უშვილობის მკურნალობის მაგია:** უშვილო ქალები სტელის ძირიდან იღებდნენ მიწას, ტოვებდნენ სოფლის საზღვარს უკანმოუხედავად (ტაბუს დაცვა) და ამ მიწით ნაზავ წყალში ბანაობდნენ, რაც ნაყოფიერების ღვთაებისგან პროკრეაციული უნარის მიღებას ისახავდა მიზნად. რიტუალის შემდგომი 40-დღიანი სექსუალური ასკეტიზმი (საკრალური პერიოდი) მიზნად ისახავდა მიღებული მაგიური ძალის შენარჩუნებას.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

კულტის სოციო-კულტურული ტრანსფორმაცია და ეთნოკულტურული დიფუზია

კვლევამ აჩვენა, რომ წინაქრისტიანული მეგალითური ძეგლი დროთა განმავლობაში შეერწყა გვიანდელ ნარატივებს. მაგალითად, და-ძმის (ძიქვასა და ლალიას) გაქვავების ლეგენდა (ლეკიანობის კონტექსტში) გვიანდელი, ქრისტიანული ხანის ფოლკლორული ადაპტაციაა, რომელიც ანალოგიებს პოულობს საქართველოს სხვა რეგიონებშიც (რაჭა, თიანეთი). საინტერესოა ეთნოკულტურული დიფუზიის ფენომენიც: XIX საუკუნის 30-იან წლებში არზრუმიდან ჯავახეთში ჩამოსახლებულმა სომხურმა მოსახლეობამ ასევე მოახდინა ამ საკრალური სივრცის ინტეგრირება საკუთარ ყოფაში, უწოდა მას "კათქარი" (სომხ. კათნახაჩ/კათქარ — რძის ქვა) და განაგრძო რიტუალური პრაქტიკა, რაც ადასტურებს ძეგლის უნივერსალურ საკრალურ სტატუსს რეგიონში.

დასკვნა

მურჯახეთის სტელის კომპლექსური შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი წარმოადგენს უნიკალურ სინკრეტულ ძეგლს, სადაც გადაჯაჭვულია მეგალითური (კოსმოგონიური), ტოტემისტური და ფალიკური კულტების ელემენტები. მასთან დაკავშირებული რიტუალური პრაქტიკა:

- წარმოადგენს ნაყოფიერების მაგიის კლასიკურ ნიმუშს, სადაც შავი ფერის შესაწირი მიწისა და ცის კოსმიურ კავშირს, აგრეთვე ავი თვალისგან დაცვას განასახიერებს.
- ავლენს მაღალ მედეგობას ისტორიული ტრანსფორმაციების მიმართ, რადგან წინაქრისტიანული სემანტიკა ორგანულად შეერწყა ჯერ ქრისტიანულ ფოლკლორულ ნარატივებს, ხოლო მოგვიანებით — ახალი ეთნიკური ჯგუფების რელიგიურ-საყოფაცხოვრებო რეალობას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ბარდაველიძე 1941: ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბილისი, 1941;

ბერძენიშვილი 1964: ბერძენიშვილი, ნ. 1964. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1964;

გოგოლაძე 1937: გოგოლაძე, გ. ისტორიულ–ეთნოგრაფიული მასალები, შეკრებილი ასპინძასა და ახალქალაქის რაიონებში. სამცხე–ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, #87, 1937.

მაკალათია 1926: მაკალათია, ს. „ფალოსის კულტი საქართველოში“. მიმომხილველი I, 1926;

მელიქსეთ-ბეგი 1938: მელიქსეთ-ბეგი, ლეონ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი. 1938;

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მესხიშვილი 1987: მესხიშვილი, ც. საველე დღიური #2: ახალქალაქის ექსპედიციის მასალები, 1987;

როსტომაშვილი 1901: როსტომაშვილი, ი. „მურჯახეთის და განძის სვეტები“. ჟურნალი მოგზაური, 1901;

რუხაძე 1999: რუხაძე, ჯ. ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში. თბილისი, 1999;

სურგულაძე 1993: სურგულაძე, ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი, 1993;

Bobokhyan, Arsen, Alessandra Gilibert, and Pavel Avetisyan, eds. 2019: Bobokhyan, Arsen, Alessandra Gilibert, and Pavel Avetisyan, eds. Vishap between Earth and Sky: Monuments of the High Altitude Landscape in the South Caucasus. Black Sea Studies. Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft (WBG), 2019;

Gilibert, Alessandra, Arsen Bobokhyan, and Pavel Avetisyan 2012: Gilibert, Alessandra, Arsen Bobokhyan, and Pavel Avetisyan "Water, Stones, and Gods: The Vishap Stelae of the South Caucasus." Archaeologische Mitteilungen aus Iran und Turan, 2012;

Грен 1938: Грен, А. „Отчет по археологической поездке в Цинцкаро“. Известия Кавказского отделения Московского археологического общества (Изв. КОМАО), 1938;

Марр, Николай и Яков Смирнов 1931: Марр, Николай და Яков Смирнов. Вишапы. Ленинград, 1931;

Мещанинов 1925: Мещанинов, И. И. „Каменные статуи рыбы-вишапы“. Записки коллегии востоковедов. Т. I. 1925;

Ростомов 1898: Ростомов, И. „Ахалкалакский уезд в археологическом отношении“. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК), вып. 25. Тифлис, 1898;

References

Bardavelidze 1941: Bardavelidze V. From the History of the Ancient Faith of the Georgians. Tbilisi, 1941;

Berdzenishvili 1964: Berdzenishvili, N. 1964. Issues of Georgian History. Tbilisi, 1964;

Gogoladze 1937: Gogoladze, G. Historical-ethnographic materials collected in the Aspindza and Akhalkalaki regions. Manuscript Fund of the Samtskhe-Javakheti Historical Museum, #87, 1937.

Makalatia 1926: Makalatia, S. “The Cult of the Phallus in Georgia”. Reviewer I, 1926;

Melikseth-Beg 1938: Melikseth-Beg, Leon. Megalithic Culture in Georgia. Tbilisi. 1938;

Meskhishvili 1987: Meskhishvili, c. Field Diary #2: Akhalkalaki Expedition Materials, 1987;

Rostomashvili 1901: Rostomashvili, I. "Murjakheti and Treasure Columns". Traveller's Journal, 1901;

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

Rukhadze 1999: Rukhadze, J. Folk holiday of the revival of the forces of nature in Georgia. Tbilisi, 1999;

Surguladze 1993: Surguladze, I. Symbolism of Georgian folk ornament. Tbilisi, 1993;

Bobokhyan, Arsen, Alessandra Gilibert, and Pavel Avetisyan, eds. 2019: Bobokhyan, Arsen, Alessandra Gilibert, and Pavel Avetisyan, eds. Vishap between Earth and Sky: Monuments of the High Altitude Landscape in the South Caucasus. Black Sea Studies. Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft (WBG), 2019;

Gilibert, Alessandra, Arsen Bobokhyan, and Pavel Avetisyan 2012: Gilibert, Alessandra, Arsen Bobokhyan, and Pavel Avetisyan "Water, Stones, and Gods: The Vishap Stelae of the South Caucasus." Archaeologische Mitteilungen aus Iran und Turan, 2012;

Gren 1938: Gren, A. "Report on the Archaeological Trip to Tsintskaro". Bulletin of the Caucasian Branch of the Moscow Archaeological Society (Izvestiya KOMAO), 1938;

Marr, Nikolai and Yakov Smirnov 1931: Marr, Nikolai and Yakov Smirnov. Vishapy. Leningrad, 1931;

Meshchaninov 1925: Meshchaninov, I. I. "Stone Statues of the Vishapy Fish". Notes of the Collegium of Orientalists. T. I. 1925;

Rostomov 1898: Rostomov, I. "Akhalkalaki District in Archaeological Relation". Collection of Materials for the Description of Localities and Tribes of the Caucasus (SMOMPK), issue 25. Tiflis, 1898;

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026